



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საინჟინრო ფიზიკა, ბაკალავრიატი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2 აგვისტო

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	14
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	18

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი- საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საინჟინრო ფიზიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Engineering Physics
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული 0719.1.1 საინჟინრო ფიზიკა Engineering Physics
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 2016 წლის 19 ივლისის № 55 გადაწყვეტილება
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ფიზიკა“ აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 ივლისის #55 გადაწყვეტილების საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრი. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებსა და თავისუფალ კომპონენტებს, კერძო: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების კრედიტების მოცულობაა 180, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების 30 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების - 30 კრედიტი.

საინჟინრო ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ბაკალავრს მისცეს სიღრმისეული ცოდანა იმ დარგების მიმართულებით, როგორიცაა: ფიზიკური ინფორმატიკა, სამედიცინო ფიზიკა და ადამიანისა და გარემოს რადიაციული უსაფრთხოება, მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა, ფიზიკა-ტექნიკური ექსპერტიზა და ტექნიკური დიაგნოსტიკა.

პროგრამა არის ქართულენოვანი, პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის შინაარსს და უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი კვალიფიკაციის პირების ჩართულობას. პროგრამაზე ჩასაბარებელი მესამე სავალდებულო საგანი- მათემატიკა ან ფიზიკა; უცხო ენა - გერმანული, ინგლისურ, ფრანგული, რუსული.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო საგნების ბლოკს, რომლის გავლის შედეგ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ხუთიდან ერთერთი კონცენტრაცია.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშის, საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების, ასევე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფმა რომელმაც დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მოამზადა წინამდებარე დასკვნა. საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირველ და მეორე სტანდარტებთან, ასევე სტანდარტის კომპონენტ 4.1-თან მიმართებით.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

წარმოების ფარგლებში შეფასებული სტანდარტების შეფასება შემდეგია:

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 1.1 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 1.2 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 1.3 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 1.4 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 1.5 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 2.1 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 2.2 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 2.3 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 2.4 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 4, სტანდარტის კომპონენტი 4.1 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

პროგრამა შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“

▪ რეკომენდაციები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის პირველი სწავლის შედეგის ფორმულირებაც მოხდეს აქტიური ფორმის ზმნის გამოყენებით.

სასურველია, პროგრამის გუნდმა განიხილოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტის ასახვა.

გადაიხედოს კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასებისთვის განისაზღვროს კონკრეტული სასწავლო კურსი/კურსები და შეფასების მეთოდები.

სასურველია, საბაკალავრო პროგრამის აღწერა მეტ ინფორმაციას იძლეოდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
 - ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სრულად იზიარებს „საინჟინრო ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში, I სტანდარტის, II სტანდარტის და IV სტანდარტის ფარგლებში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასებებს - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიდწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახულის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის „საინჟინრო ფიზიკა“ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, პროგრამის მიზნები პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში დაიხვეწა, თუმცა შინაარსობრივ დატვირთვას არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს მისცეს:

- საბაზისო ცოდნა თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკისა და ინჟინერიის მიმართულებებით, როგორცაა სამედიცინო ფიზიკა, გარემოს დაცვა და რადიაციული უსაფრთხოება, მიკრო და ნანოელექტრონიკა, ნანოტექნოლოგია, ტექნიკური ექსპერტიზა და მათი მომიჯნავე დარგები;
- საინჟინრო და ფიზიკური ექსპერიმენტების ჩატარების უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება მულტიდისციპლინურ სამეცნიერო და ინდუსტრიულ დარგებში სამუშაოდ;
- მიღებული ცოდნითა და უნარებით სწავლა გაგრძელოს სწავლის შემდგომ საფეხურებზე: მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში;
- ეფექტურად და შემოქმედებითად გამოიყენოს მიღებული ცოდნა დარგის გასავითარებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ფიზიკა“.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრისთვის შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის სწავლის შედეგები შინაარსობრივად არ შეცვლილა, თუმცა შინაარსობრივად მოვიდა შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 ბრძანების შესაბამისად „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“. სწავლის შედეგები ფორმულირებულია აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით (გარდა პირველი სწავლის შედეგისა), აწმყო დროში.

საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებია:

1. აქვს საინჟინრო ფიზიკის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა დარგში არსებული სხვადასხვა სახის პრობლემების გადასაჭრელად;
2. აანალიზებს საინჟინრო ფიზიკისათვის დამახასიათებელ ამოცანებს და სიტუაციებს სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;

3. იყენებს მრავალმხრივ და სპეციალიზებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ფიზიკურ-ტექნიკური ექსპერტიზის, მიკრო და ნანოელექტრონიკის და სამედიცინო ფიზიკის ამოცანების გადასაწყვეტად;
4. ახდენს საინჟინრო ფიზიკაში არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესებისათვის დამახასიათებელი პრობლემების იდენტიფიცირებას, ფორმულირებას და ანალიზს;
5. ფლობს პრაქტიკულ უნარებს ფიზიკურ-ტექნიკური ექსპერტიზის, მიკრო და ნანოელექტრონიკის, სამედიცინო ფიზიკის სფეროში წარმოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
6. იყენებს თანამედროვე კომპიუტერულ/ინფორმაციულ ტექნოლოგიებს საინჟინრო ფიზიკის ამოცანების გადასაჭრელად;
7. შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის პროექტს/ანგარიშს ფიზიკურ-ტექნიკური ექსპერტიზის, მიკრო და ნანოელექტრონიკის და სამედიცინო ფიზიკის მიმართულებებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
8. მიღებული შედეგების საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნას საინჟინრო ფიზიკაში მიმდინარე პროცესების, ექსპერმენტების და /ან მოწყობილობების შესახებ;
9. ამზადებს დეტალურ წერილობით ანგარიშს/პრეზენტაციას იდეების, არსებული პრობლემების, მათი დაგჭირის გზების შესახებ და გადასცემს ინფორმაციას ზეპირად ან წერილობით საინჟინრო ფიზიკის სპეციალისტებს და არასპეციალისტებს კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შესწავლის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ კომპონენტს. სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, მასში, პროგრამის შინაარსისა და სტუდენტების მიერ გამომუშავებული კომპეტენციების შესაბამისად, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგის ასახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის პირველი სწავლის შედეგის ფორმულირებაც მოხდეს აქტიური ფორმის ზმნის გამოყენებით;
- სასურველია, პროგრამის გუნდმა განიხილოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტის ასახვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐
--------------------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელზეც განსაზღვრულია, თუ პროგრამის რომელი კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგებზე გასვლას, ასევე აღნიშნულია სწავლის შედეგის მიღწევის დონე. თითოეული სწავლის შედეგი სამ დონეზე ღრმავდება.

ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულია შემფასებელი და შეფასების მეთოდები. შეფასება ხორციელდება იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, რომელშიც სტუდენტი მესამე დონეზე ახდენს სწავლის შედეგის გაღრმავებას. მართალია, დაწესებულება თავისუფალია სწავლის შედეგების რუკის განსაზღვრისას, თუმცა, თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით, ძალიან მაღალია იმ სასწავლო კურსების რაოდენობა, რომელთა ფარგლებში სწავლის შედეგი მტკიცდება (ღრმავდება მესამე დონეზე). - რიგ შემთხვევაში, ასეთი კურსების რაოდენობა 30-ს სცდება.

დაწესებულებამ სასურველია იფიქროს კურიკულუმის რუკის გადახედვაზე, კერძოდ, ხელახლა შეაფასოს სასწავლო კურსების ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე და პროგრამის სწავლის შედეგები შეაფასოს იმ კურსების ფარგლებში, რომელშიც სტუდენტი ასრულებს სწავლის შედეგის მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასებისთვის განისაზღვროს კონკრეტული სასწავლო კურსი/კურსები და შეფასების მეთოდები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო საგნების ბლოკს, რომლის გავლის შედეგ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ხუთიდან ერთერთი კონცენტრაცია.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებსა და თავისუფალ კომპონენტებს, კერძო: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების კრედიტების მოცულობაა 180, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების 30 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების - 30 კრედიტი.

საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსები აგებულია თანმიმდევრულად და ითვალისწინებს საგნიდან საგანზე გადასვლის წინაპირობებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

0 -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

0 -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის საფუძველზე, ცხადია, რომ:

- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურის დონეს;
- ყველა სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა კურსის სწავლის შედეგების ადეკვატურია;
- სილაბუსები შედგენილია სტუ-ში დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგები, კურსის შინაარსი და შეფასების სისტემა ითვალისწინებს სწავლების დონით განსაზღვრულ სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

○ -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საინჟინრო ფიზიკა“, პროგრამაში წარმოდგენილი აღწერილობის შესაბამისად: „სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ვინაიდან საბაკალავრო პროგრამა და შესაბამისად, მასზე დაშვების წინაპირობები საჯაროდ არის ატვირთული ვებ-გვერდზე და ემსახურება დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას, სასურველია,

საბაკალავრო პროგრამის აღწერა მეტ ინფორმაციას იძლეოდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საბაკალავრო პროგრამის აღწერა მეტ ინფორმაციას იძლეოდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „საინჟინრო ფიზიკა“ გათვალისწინებულია პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და გადმოცემის უნარების განვითარება და მათი ჩართვა კვლევით პროექტებში.

საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას, თუმცა, პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარება სტუდენტებს შეუძლიათ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შესრულების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა საინჟინრო ფიზიკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

○ -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ფიზიკა“ ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სხვადასხვა სწავლების მეთოდები და აქტივობები, როგორცაა: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, შემთხვევების შესწავლა, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა საინჟინრო ფიზიკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

0 -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

0 -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება კანონმდებლობასთან შესაბამისი წესითა და დადგენილი პროცედურების მიხედვით. სასწავლო კურსებში მოცემული შეფასების სისტემა და კომპონენტები იძლევა სტუდენტთა ინფორმირების შესაძლებლობას, გამჭვირვალე და სანდოა.

სტუდენტთა შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით და ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- A - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- B - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- C - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- D - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- E - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- FX - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- F - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ფიზიკა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

○ -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართულია კომპეტენტური აკადემიური პერსონალი. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში რეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ელექტრონული და ნაბეჭდი სახელმძღვანელოებით, საერთაშორისო და ადგილობრივ გრანტება და პროექტებში, ტრენინგებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (42 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას. მათ შორის ბალანსი, ასევე აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს, აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევითი პროგრამების ხელმძღვანელობისა შემსრულებლად მონაწილეობის გამოცდილება (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა სხვადასხვა ევროპული პროექტების შემუშავებაში, წარდგენასა და განხორციელებაში, სტუ-ს საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტსა და პარიზის სუდ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობაში, საერთაშორისო კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში, საქართველოში მათი ჩატარების ორგანიზებაში).

პროგრამის პერსონალს შორის არიან საერთაშორისო და საქართველოს პროფესიული და საგამომცემლო ორგანიზაციების წევრები.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მოყვანის პერიოდში, ნაწილობრივ განახლდა აკადემიური პერსონალი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
---	---	---	---	--

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	42	30	29	40
- პროფესორი	26	16	16	26
- ასოცირებული პროფესორი	11	7	7	11
- ასისტენტ-პროფესორი	3	1	1	3
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	5	5	5	–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:

○ –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საინჟინრო ფიზიკა, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐

შენიშვნა: ექსპერტთა მიერ შეფასდა სტანდარტები 1 და 2, ასევე სტანდარტის კომპონენტი 4.1.

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ავთანდილ თავხელიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



თინათინ გაბრიჩიძე